ხელშეკრულება № 42

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი. სოფ. ქვემო ხოდაშენი 5 დეკემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ თელავის მინიციპალიტეტის სოფ. ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა ბოჭორიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს გორგია, (შემდგომში - მიმწოდებელი)წარმომადგენელი მისის დირექტორის ხ პაპუნიძეს სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ჩაიდანი, წლის დისპანსერი და მათთან დაკავშირებული მასალები (ვაუჩერული დაფინანსებით) (CPV:39300000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 378,00 (სამასსამოცდათვრამეტო და 00) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თელავი, სოფელი ქვემო ხოდაშენი)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა
ს/კ 231263708
მის: ქ. თელავი, სოფელი ქვემო ხოდაშენი
ტელ: 577 67 81 44

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი
ა/ა GE54LB0121189601037000

დირექტორი

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს გორგია
ს/კ 245621288
მის.: თელავი

საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"

ა/ა GE62TB1007536020100008

დირექტორი

(ხელმოწერა) ბ.ა

Ketevan Lomadze 26001015243
Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.12.06 14:52:27

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	ჩაიდანი FRANKO FKT-110	ცალი	1	109.00	109.00
2	წყლის დისპანსერი KUMTEL HWD-03	ცალი	1	269.00	269.00
					378.00

სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ხოდაშნის საჯარო

სკოლის დირექტორი : /ნ. ბოჭორიშვილი/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. თელავი. სოფ. ქვემო ხოდაშენი 5 დეკემბერი 2023 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სხვადასხვა სახის მოწყობილობების შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლის მიერ, ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ მიმწოდებელთან შპს გორგია გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი:

/ნ. ყურაშვილი/

სკოლის დირექტორი /ნ. ბოჭორიშვილი/

მიღება-ჩაბარების

აქტი #42

ქ. თელავი 5 დეკემბერი 2023 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა და მეორეს მხრის, შპს გოგია ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შპს გორგიამ ჩააბრა, ხოლო სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლამ ჩაიბარა: ჩაიდანი FRANKO FKT-110, წყლის დისპანსერი KUMTEL HWD-03 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 378,00 (სამასსამოცდათვრამეტ და 00 ლარს)

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელომოწერით:

Ketevan Lomadze 26001015243

Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.12.06 14:52:45

ჩააბარა:

ჩაიბარა: